

გაზეთის შანი

ქრონოსი

ხალის-მოსწავრა მიიღება:

გაზეთის ტვილისში და გარეშე ადგილებში:

ქრონოსი წლისა	7 მან.	6 მან.
ნახევარის წლისა	4 —	3 — 50 კ.
სამის თვისა	2 — 50 კ.	2 —

საღვთის ნუმრისა გაუგზავნაო — 3 შაური.
 „ქრონოსი“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ტვილისში „ქრონოსი“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კაპა, სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებულოვის სახლში ტვილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.**
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **ზანსხადება** სხვა და სხვა ენებზედ. შანი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთი.

ზანსხადება

გაზეთის „ქრონოსი“ გამოცემა
1870 წელს.

მომავალს 1870 წელს „ქრონოსი“ გამოცემა იმავნე პროგრამითა: როგორც წინა-დღელ წლებში გამოდიოდა.

ხალ-მოსწავრაი შანი:

	შაუგზაენელათ:	შაგზაენით
	მან. კაპ.	მან. კაპ.
ქრონოსი წლისა	6	7
ნახევარის წლისა	3 50	4
სამის თვისა	2	2 50
ქრონოსი თვისა	75	1

ხალის მოსწავრა:

შეიძლება თბილისში „ქრონოსი“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კაპა, სტამ-ბაში, ხანის ქუჩაზე, ბებულოვის სახლში.

თბილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ გაზეთი. **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-о.**

შპორჩილესად ეთხოვთ მომავალს ხელის—მომწერლებს—დაბარებისა თანავე გამოგზავნონ რედაქციაში გაზეთის ფასი და კარგათ დაწერილი თავიანთი სახელი და გვარი.

შინაარსი:

რედაქციის განცხადებები.—თბილისი, 3 დეკემ-ბერს.—შინ-განი ცნობები.—რუსეთის ამბე-ბი.—პოლიტიკა: შრანცია, — ისანია, — იტალია, — პრუსსია და ბერძანია.—ტელეგრაფები.—სხვა და სხვა ამბები.—ლექია: „ბუხეზი“.—ზობილოგრაფიუ-ლი, საკურო და კრძობობითი განცხადებები.—მეზაე-რობა რუსეთისკენ.—შოჩტა-ტელეგრაფი.

რუსეთისკენ ვგზავრობა.

მოლოგაზე და დონზე.

შუადღეს ცოტა აკლდა, ნიჟინდგან რომ ცეცხლის გემი დაიძრა. გემი ისე გაიგრა მგზა-ერებით, რომ ტყეა აღარ იყო. ისინი მიდიო-ლდნენ სამარის ქალაქს, სადაც იწყებოდა იარ-მუკა თხუთმეტ სექტემბრიდან. შევლავზე უფრო ბევრი მგზაურები თათრები იყვნენ, რომელთაც ნიჟინაში ევაჭრათ და ახლა შაზა-ნის გუბერნიაში მიდიოდნენ. შაზანის ქალაქი კალგის მახლობლათ დგას. ეს გუბერნია უფრო შეადგენდა შაზანელ თათრების სამე-რსს, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნეში და-წყობა რუსის მეფემ ივანე მეოთხემ. ამ მხა-რეში უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა სულ თათრის ხალხია. შაზანს ქვემოთ თათრები იმდენი აღარ წამოსულან, იმათ მაგიერათ რუ-სის გლეხობა ემატებოდა და ემატებოდა ცეცხლის გემს ნაესადგურებდგან. შაზანი საშინელი ქარიშხალი აგვიტყდა; ლამის სიცი-ვით გავწყდით. ამისთანა მდგომარეობაში რასაკვირველია, ყველა თბილის ალაგს მოსძე-ბნიდა. შეუძლო ხალხი გემის ბანზე იყო და-ბინავებული; აქ ყოვლის მხრით სცემდა წე-მა და ცივი ქარი. შეიქმნა ქიშობა მყუ-დრო ალაგისათვის. იმდენი სიცოცხლე გაქვს, მკითხველო, რამდენი მუჭი და ლაწანი იქ დაიხარჯა: ყველას ენანებოდა თავის თავი და შენც მოგვხსენება, მკითხველო, რომ სიცი-ცხლის დასაცავათ ცემა-ტყევა მოდით არის შემოღებული და ყველა მოღებზედაც უფრო შეიქმნა.

რედაქცია უპორჩილესად თხოვნა იმ ხალის მოსწავრავს, რომელთაც ახალი გაზეთის უფლი არ გამო-უბანიანთ, რაც შეიძლება მაღა მოგზავნონ.

მე მეჭირა ერთი ვიწრო ალაგი მაშინას-თან, სადაც მსხვილი რკინის საკომლე მილი აიძარებოდა. აქ კარგა თბილოდა და იმი-ტომაც უფრო გაფრთხილებული ვიყავი, რომ არავეს ავეგდე ალაგიდგან. ბევრი შურინი თვალები დამცქეროდა.—მაი, შენს ტყავს, რა თბილი ალაგი დაგიჭირიაო, ფიქრობდნენ გულ-ში და თან ხელებზე სულს იბერადენ, რომ როგორმე გაეთბოთ სიცივით დაკრუნხული ხელის თითები: ამისი შემხედვარე მე კიდევ უფრო მოუმატე სიფრთხილეს, ხშირად ვატ-რილებდით თვალებს აქეთ-იქით; ღმერთი არ გაუწყრეს, ვინმე ქურდულათ არ მომეპარას და ჩემი ალაგიდგან არ გადამბრძანას-მეთ-ქი, — როგორც ჩიტის ბლარტს გადმოაგდებს ხოლმე გუგულის წიწილი საკუთარი ბუღილ-დან, რომ იმისი ალაგი თვითონ დაიჭიროს და იმისი წილი საქმელიც თვითონ ჩაყლაპოს. ეს ამბავი სულ ასეა. შოველი უსამართლოების მიზეზი ამ ქვეყანაში ეს ოხერი სიცოცხლეა, რომლისთვისაც სიბოც საქიროა და პური-ცა. საცს თუ ესენი მოეშალა, მაშინ ის მტა-ცებლათ ჰხდება...

იწვილა გემმა და ერთს ნავსადგურს მივა-დექით. ჩემ გვერდით მჯდომარე მუჭიკმა ერთ წუთას თავისი ალაგი დააგდა: ცოტა რამ სა-გაბალის ყიდვა უნდოდა. როცა მობრუნდა, ალაგი დაკავებული დახვდა: იმის ადგილზე სხვამ მოიკეცა ფეხი. ცუდის თვალთ შეხედა მუჭიკმა ახალ მოსულსა. ბულში იფიქრა, თუ ეს ადგილი მას დაეანებე გემის ცხვირზე უნ-და წავიდე, თორემ სხვაგან ეერსად შევიფა-რებ თავსაო; და გინდ იქ წავსულვარ, გინდ

რედაქციის განცხადება.

„ქრონოსი“ რედაქცია უპორჩილესად თხოვნის თანაშრომლებს და კორრეს-პონდენტებს, რომ კარგათ და ადვილათ გა-სარჩევი ხელით დაწერილი სტ-ტიები, თუ კორრესპონდენტები გამოგზავნონ დასაბეჭდა-თა; ეს აუცილებელათ საქიროა როგორც თვი-თონ რედაქციისათვის, აგრეთვე ცენზურისა-თვისაც.

თბილისი, 3 დეკემბერი.

საქვეყნო ისტორია გვიმტკიცებს, რომ არც ერთი ერის განათლება და საზოგადოთ წარ-მატება თანასწორათ არ მომხდარა: ყოველ-თვის და ყველგან თავდაპირველათ ერთს (ხში-რად უფრო შეძლებულს) ნაწილს საზოგადო-ებისას წილდგამს წინ ფეხი როგორც განა-თლებში, ისე თვით ცხოვრებაშიაც. შემდეგ ამ განათლებულ ნაწილს ერისას ჰქონია გა-ლენა სხვებზე თავის მოქმედებითა და სიტყვით და ამ რიგათ მთელი ერიც წინ წაწეულა.

ჩვენს სამწუხაროთ, უნდა ეთქვათ აქ, რომ ეს ისტორიული კანონი თითქმის არ მართლდება ჩვენზე; ახლანდელი განათლებული და შეძლებული ნაწილი ჩვენი ერისა როგორ-ღაც გულგრილად უყურებს ყოველ საზოგა-დო საქმეს; ერი და იმის წარმატება ახლან-დელ ჩვენ განათლებულ საზოგადოებას სრულ-ლიად არ ახსენდება; თითქმის მთელი თავის სიცოცხლე იმას შეუწირავს თავის თავის და წერილ-მანი საქმეების ზრუნვისთვის. მინ იტ-ყვის, რასაკვირველია, რომ კარგი ჩინოვნიკი, კარგი მასწავლებელი, პატიოსანი ეაჭარი და

სიცივეს მოუკლავარ, სულ ერთიაო; ისევე ამ ჩემ მტერთან დახეიო ტყავი, ის მიჩვენია გემის ცხვირზე გაყინვასაო. ამის მიზეზით მუ-ჭიკმა მრისხანებით შეუძახა: „ადექი, ძაო, მა-ლიდგან, ეგ ადგილი სისხლით ნაშოვარი მაქე-სო“. ახალ მოსულმა ყურიც არ გააპარტყუ-ნა, თითქმის იმას არ ელაპარაკებოდნენ. მუ-ჭიკი დარწმუნდა: „თუ მუჭი-კრივი არ გაე-მართე, ვერას გაეწყობო“ და ამის გამო მი-ვიდა ახალმოსულის ახლოს, ზურგი შეაქცია და ღონიერათ დაატაკა თავისი უკანალი; ახალ მოსულმა ცხვირი წარგო იატაკზე, მაგრამ სა-ჩქაროთ წამოეარდა ზეზე და იმანაც უკანალი ატაკა; — ასეთი წიხლების ცემა შეიქმნა, რომ გეყურებინა, იფიქრებდი, ეს კეციები ამ გემ-ზე ვინ მოახეტაო. იმდენი სცემეს ერთმანეთს, რომ სულ უკანალები დაემტვრიათ; ვერცერთ-მა რომ ვერ დასძლია, ბოლოს ისე მოახერ-ხეს, რომ ერთ მტკაველ ალაგზე ორნივე მო-თავსდნენ და სამარის ქალაქამდის სულ ზურგ-შექცეულები მოდიოდნენ. შევლა შეატყობდა, რომ ერთმანეთთან ყოფნა ნაჩხუბრებს ჭირი-ვით მიიჩნდათ, მაგრამ ერთმანეთს ვერ მოს-ცილებოდნენ! სიცივეს ისე შეეშინებინა ეს ორი სულიერი, რომ თუმცა ერთმანეთის ჭი-რი იყვნენ, მაგრამ ჭირთან ყოფნასაც დაკმა-ყოფილებული იყვნენ. ასე იფიქრებდი, გარე-მოებას სწორეთ ბოროლით მიუბაგეს ერთმა-ნეთზე ეს ორი მტერიო, თორემ რა ეშმაკი ამყოფებს ამათ ერთათაო.

შუ, ამისთანა სიძაბუნეს... მტერთან ყოფ-ნას, სულ არ იყოს კაცი ისა სჯობია, მაგრამ ეს ორი კაცი თურმე სხვანაირათ ფიქრობ-და!

სხ. ბევ. აუცილებელათ საქირონი არ იყვნენ ყოველი საზოგადოებისთვის და უკანაგორ-ბით ჩვენთვის? მაგრამ ისიც ქეშპორიტებაა, რომ ყოველ ჩინოვნიკს თავის კანცელარიის გარდა, ყოველს მასწავლებელს თავის „შკო-ლის გარდა და ყოველს ეაჭარს თავის დუქ-ნის გარდა—სხვა რამეც უნდა აწუხებდეს: ისინი უნდა ზრუნავდნენ არა თუ მართო „შკო-ლებისა და დუქნების არსებობაზე და წარმა-ტებაზე, იმათთვის საინტერესო უნდა იყოს აგრეთვე ყოველი საზოგადო, საქვეყნო საქმე-ში ამ ნაირ პირებს, რომელნიც ღირსეულად ასრულებდნენ კაცის მღალ დანიშნულებას ჩვენში იშვიათად იპოვიან. ამას, რასაკვირველია, როგორც ყოველ გარემოებას, თავის მიზეზე-ბი მოეძებნება; მაგრამ მიზეზის არსებობა ვერ დაამტკიცებს იმას, რომ თვითონ გარემოება რიგიანი და სანატრელი იყოს ჩვენთვის. მანათ-ლებული კაცოც იმას ჰქვიათ, ვინც, თავის ცოდნით და მეცადინეობით, აიცილებს და სხვებსაც ააიცილებს თავიდან წარმატების ყო-ველ დამბრკოლებელ მიზეზსა.

ამ შემთხვევაში, უნდა გაეტყდეთ, ჩვენი თანა-მცხოვრები და მეზობელი ერი—სომხები ბევრათ გვეჯობიან ჩვენსა. შეხედეთ განათლე-ბულ სომხებსა! მანა იმათში ეაჭრები არ არიან? მანა იმათში ჩინოვნიკები არ არიან? მანა იმათში მასწავლებლები არ არიან?... მაგრამ ამ დროსვე ისინი საზოგადოების ნამდვილი წევრებიც არიან: განათლებული და შეძლებული სომხე-ბი ხსნიან თავის ხარჯით სახალხო სასწავლე-ბლებს და სახელოსნო შკოლებსა, ზრდიან

ხანდახან ახირებული საქმე იცის ჩვენმა წუთისოფლმა. ზოგიერთს ასეთს ჭირს აჰკი-დებს ზურგზე, რომ იმის ტარებით კაცის სი-ცოცხლეს სიცოცხლე აღარ ჰქვია. ამ ჭირს კაცისათვის გულში გახურებული შანთი გაუყრია და თულა სიცოცხლობს, მხო-ლოდ იმისთვის, რომ თავის ტანჯვით თეი-თონვე სიამოვნობდეს, — თულა სიცოცხლობს მხოლოდ იმისთვის, რომ თავის სიცოცხლით ნიადგ სიკვდილს ჰგრძნობდეს; და ამ გრძ-ნობას ისე შეუწყრავს იმისი გონება, რომ უბრალო ფიქრის თავიც აღარა აქვს; — იმდენ-ნათ აღარ უჭრის გონება, რომ ეს იფიქროს: „მე ხომ ამ სიცოცხლითვე მკვდარი ვარ, მაშ რალათ მინდა ეს ოხერი გრძნობიერი სიცო-ცხლე? — მანა მხოლოდ იმისთვის მინდა, რომ სიკვდილსა ვგრძნობდე: ამისთანა სიცოცხლეს ის არა სჯობიან, ბარემც სულ მოკვდეთ! მა-შინ მოსვენებით მაინც ვიქნები და მეც კარ-გია... თუ ასეა, მაშ მოდი ერთი ეცდები ამ ჭირს მოეშორდე, რომელიც ჩემ სატანჯავათ გაჩენილა; თუ ამითი სიკვდილი მეწია, უფრო კარგი—დატანჯულს სიცოცხლეს მაინც სჯო-ბია და თუ გადაუჭრჩი—ეს კიდევ უკეთე“ — სიცოცხლე თავისი სიამოვნებით ისევე და-მი-ბრუნდება. მაგრამ რა ესთქვი!... თურმე ზოგ-ჯერ ჭირი ისე დაჩაგრავს კაცს, რომ იმის მო-საშორებლათ ცდა თვითონ ჭირზედაც უფრო ეზარება, როგორც იმ ორ კაცს ერთმანეთის მოცილება დაზარებლათ.

ქარიშხალი უფრო და უფრო გრიალებდა; საღამოზე კიდევ სიცივემ უმატა. რომელიც

უნდგინდეს უნდგინდეს უნდგინდეს, რომ შეიძინონ შემდგომში საზოგადოების სასარგებლო წევრები; სწორად გავიგონია, რომ ამ და ამ მიცვალებულმა სომხებმა უნდგინდეს შეკლებსო, ან სხვა რამ საზოგადო საქმეს ამდენი ათასი მანეთითა. — აბა მითხარით ახლა ბევრი კეთილი საზოგადო საქმე დაუარსებია ქართველ განათლებულებს და შეძლებულეებსა?..

ეს სიტყვები წარმოგვათქმევინა ჩვენ ერთმა ხმამ, რომელიც გაეარა ამ ქამად ობილისში და რომელიც, თუ მართალია, ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს სომხების ზრუნვას საზოგადო საქმეებისთვის. მე ვამბობ სომხური თეატრის ამხენებზე ობილისში.

ჩვენი ვახუშტის წიგნების მიხედვით იყო, თუ ახსრავს მკითხველს, რომდონივე სტატია ქართულს თეატრზე რომდონივე იმითი ავტორი, სხვათა შორის, ამბობდა, რომ ქართველებსა და სომხებს, რომ შეერთდებოდნენ, ძალიან კარგათ შეუძლიანთო ერთი საზოგადო თეატრის ამხენება; ამდროსვე ობილისში გაეარა ხმა, რომ, რომდენთამე პირის მცოდინეობით, სომხები თეატრათ თავის ძველი სემინარიის გადაქცევას აპირებდნენ; ნაძვილათ კი არ შეგვიტყვიან ვერ — ეინ ამხენებს თეატრს: რომელიმე კერძო პირი, თუ სომხების საზოგადოება, არც ის შეგვიტყვიან — რომდისთვის იქნება თეატრი მზათ, ან ტრუპა არის, თუ არა. ძალიან სასიამოვნო იქნება, რომ ამ საზოგადო საქმის ვითარებას დაწერილებით შევიტყუბდეთ.

თუ ეს ხმები მართალი არიან, (ჩვენ კი გვარწმუნებენ ამში), ქართველ დაწინაურებულ საზოგადოებას აქვს შემთხვევა გამოიჩინოს თავისი ზრუნვა საზოგადო საქმისთვის. ჩვენ ვაფიგონებთ, რომ თეატრის გამწყობლები დიდის სიამოვნებით შეიამხნავენ ქართველებს ახალი თეატრის გაწყობაში და თანახმა არიან საერთო თეატრი გამართონ, თუ ქართველებიც, თავის მხრით, მიიღებენ თავიდანვე რაიმე მონაწილეობას ამ საქმეში და მატერიალურად შეეწყვიან. მაშ ჩვენს საზოგადოებაზე ახლა დამოკიდებული გამოიჩინოს თავი და ხელი მოაუშალოს დასაწყისიდანვე თეატრის დაარსებას.

იმაზედ, რომ თეატრი სასარგლო საქმეა, საქმათ თქმულა ჩვენს ლიტერატურაში, ჩვენ

უალაგათ დარჩენილიყვენ, გამწარებულნი დარბოდნენ გემის ერთი ცხვირიდგან მეორე ცხვირზე და ამ მოძრაობით ცდილობდნენ გახურებულოყვენ. სიცივისაგან კბლდებს წაკაწუკი გაქონდა. ჩვენს ახლო ერთი დაბალი კარები იდგა და თავზედ ეს ეწერა: „ვისაც პალუბის (გემის ბანის) ბილეთი აქვს, იმათთვის აქ ჩასვლა დაშლილია.“

აბა ჩავედეთ ამ კარებში, ენახათ იქ რა იქნება. ხელოვნებით ნაკეთები თითბერის კიბე დერეფანში ჩავიყვანს. დერეფანი ძვირფასი წითელი ხით არის ნაგები. აქედგან თქვენ შემძინდებით მდიდრათ მორთულ ზალაში. წითელი ხის მებელი ძვირფასი წითელი ხავერდით არის გადაკრული; ზედ რომ დაჯდები, თითქოს სამკეცა ბუმბულის დოშაკზე დამჯდარხარ, ისე რბილათ და მოსვენებით იქნები; იატაკი მშვენიერი ვარაყით არის გაკეთებული, ჭერიდგან ჩამოეშვება სხივ მომეფნი ლამაზარი. ზრძელ ხავერდის მდივანზე გაწოლილი თეთრ-ყირობი ქალი და მშვენიერი პაწაწა ფეხები (დედაც, საყვარლო! იტყვის იმერელი!) ერთმანეთზე გადაუდგია. იმის გვერდით ზის ექსელბანტებიანი კაცი. ოჰ, რა თბილა!... რა კარგი საყვარლოა აქ, რომ იცოდეს!

ამ განიერ ზალაში, რომელიც ადვილათ დაიტევს სამოც კაცს, მხოლოდ ის ორი

ვიტყვიან აქ მხოლოდ, რომ საზოგადო თეატრი სხვათა შორის იმდროს არის სანატრელი, რომ ის დაგვახლოებს ჩვენ ქართველებსა და სომხებს) ერთმანეთთან და ამას გარდა, უტყველია ჩვენი ღარიბი ლიტერატურის გაცხოველებასაც დაეხმარება.

შინაგანი ცნობები.

სოხუმის კორრესპონდენტი გვხ. „საეკაზისა“ სასუგეშო ამბებს ვერ იწერება აფხაზეთის მოსაგაღზე. წელს იქ სიმინდი, რომელიც აფხაზების სარჩოს შეადგენს, იმის ნახევარიც არ მოსულა, უწვიმობის გამო, რაც წინეთ მოდიოდა. შარშან 20,000 ფუთი მარტო კაკალი გაუგზავნიათ შერში და მდესანში, წელს კი ის სულ მიმხმარა ზედ ხეზე. ამას რომ დაუმატოთ საქონლის კირი, რომელიც კორრესპონდენტის სიტყვით, ივლისში დარეგია იქაურ საქონელსა და აქამდინ უმოწყალოთ მსუფვეს, მაშინ ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ამ ზამთარში აფხაზების ცხოვრება სასიხარულო ვერ იქნება. დღეის მოსაგაღს კი, ღვითთ, არ უჩივიან თურმე აფხაზები.

მეორე კორრესპონდენტს იმავე ვახუშტისას მოჰყავს შემდეგი საინტერესო ციფრები ქ. შემახის სასწავლებლებზე და მოსწავლეებზე: „შარშანდელი გამოანგარიშებით, შემახიაში ითვლება 23,406 სული მცხოვრები და 35 სხვა და სხვა სასწავლებელი: ერთი უფზდის სასწავლებელი, ერთი-რუსის სკოლა, ერთი-სომხის, ერთი-სალოთრანგო და 31 მუსულმანებისა. მასწავლებელთ რიცხვი ამ სკოლებში — 46; ეცე იგი ყოველს ას სულზე შემახიაში საშუალი რიცხვით 3,8 სწავლობს და თითო მასწავლებელი 18,8 შაგირდს ასწავლის. უფზდში, რომელშიაც 81,956 მცხოვრებია, სწავლობს 597 კაცი, ე. ი. ას სულში მარტო — 0,7 ერთზე ნაკლები, ანუ 143 სულში მარტო ერთი მოსწავლეა. ეს რიცხვი რომ სხვა ქვეყნების რიცხვს შევადაროთ, მაშინ მიხედება მკითხველს — რა მდგომარეობაშია არის შემახის განათლება: პრუსიაში ას კაცი — 15,2 მოსწავლეა, დიდ ბრიტანიაში — 14, ლონდონში — 12, შრანციაში — 11,6 ისპანიაში — 6,2, იტალიაში — 5, რუსეთში — 1,5. — რაც შეეხება ქალების განათლებას, კორრესპონდენტი იმყოფებიან და მთქნარებით შედუღუნებენ ერთმანეთს. ძარიშხალის ზუზუნი აქ ძლივს ისმის. — სულა ჩემო, ყური დაუგდე, როგორ ტკბილათ ზუზუნებს კარიშხალი. რომ იცოდეს, რა მიყვარს ეგ ზუზუნი! — ნაზი ხმით ამბობს ქალი და სიყვარულით თვალებს გადაავლებს ექსელბანტებიანსა. — დიხ, ჩემო თვალის ჩინო, ეგ ზუზუნი ბევრს პოეტურს სურათებს მოგვაგონებს, ეგ არის ერთი დიდებული მოცილინებათაგანი, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი ბუნება — ეუბნება ექსელბანტებიანი.

— ბეთაყა, რარიგათ უნდა სციოდეთ იმათ, უინც ბანზედ არიან. მე ერთ წუთასაც ვერ გავჩერდები იქ.

— ჩემო სულის კოლოფო, ეგ რა სათქმელია! სად შენი ნაზი აგებულობა და სად ბანზე ყოფნა ამ ქარინხალში. მინც იქ არიან, იმათი საქმე სხვაა: ისინი შეჩვეულნი არიან სიცივესა; კანიც იმისთანა აქეთ, რომ ადვილათ აიტანენ ჰავის ცელილებას.

ბანიდგან ბრავანი მოისმის.

— მა, რას ურახუნებენ, ეგრე მწარეთ?

— სულიკო, ბანზე ვინც არის, იმათ სცივათ და ფეხებს პოლზე ურტყამენ, იქნება გავთბეთო.

— მა, უთხარი იმ საწყლებს, აქ ჩამოვიდნენ. ალაგი ბევრია, გათბებიან მაინცა.

— სულჯან, იმათ ნება არა აქეთ აქ ჩამოსვლისა. ეს ზალა შეძლებულების ადგილ-

პონდენტი ამბობს, რომ მთელს შემახიაში მარტო ერთი ლოთრანგების ქალების სასწავლებელია; მუსულმანებს თავიანთი ქალები არ შეჰყავთ სასწავლებელში: ისინი შინ ასწავლიან იმათ მარტო კითხვას შორანით; წერის სწავლების კი ეშინიანთ: რომ გაიზრდებიან, ვინცობა, ცუდათ მოიხმარონ ეს სწავლება, უცხო პირთან საიდუმლო მიწერ-მოწერას გამართვენო.

„ნიკოლაევის უწყებაში“ იწერებიან შოთიდან 27 ოქტ., რომ „შოთის რკინის გზა 10 საყენზე ჩავარდა, როგორც თვითონ ამხენებელთა — ანგლიელები ამბობდნენ; მაგრამ ნამდვილ კი უფრო მეტი ადგილი ჩაქცეულაო. — ამას გარდა ეს ვახუთიე გვაცნობებს, რომ მეკლათის ცემენტის (გაჯის) ქარხანა უფ. შაეროვისა სულ მზათ არის და ამ დღეებში ცემენტის კეთებას დაიწყებს. — მარჯვენა ქუჩე შოთის პორტისა თითქმის 90 საყენზე ამოუყვანიათ; საზოგადოთ, როგორც იწერებიან, პორტი მარჯვეთ შენდება, მაგრამ მუშაობა ახლა კი უნდა შეჩერდეს, ვაფხუთლამდის, სანამ რკინის გზა არ იქნება მზათ და ამით არ მიეცემა საშუალება მეკლათიდან ქვისა და ცემენტის გადატანისა.

შახანის უფზდის (ბანჯის გუბ.) ზოგიერთს სოფლებში, როგორც იწერებიან, — 610 პირუტყვი გამხდარა ქირით ავთა და ამ რიცხვში 546 მომკედარა, ასე რომ ზოგან მესამედი საქონელი დახოცილა. მქიმებისთვის მცხოვრებლებს გვიან უცნობებიათ და ამიტომ ქირი სექტემბრიდან თითქმის ნოემბრის შუამდი არ მოსპაზილა. ახლა კი, ექიმების საშუალებით, ზოგან სულ მოუშაბათ ქირი და ზოგან მალე მოისპაზაო.

რუსეთის ამბები.

„მმართველობის უწყებაში“ გამოცხადებულია, რომ ფინანსის მინისტრს მიეცა სახლმწიფო რჩევისაგან უფლება — ხელახლოთ დაამზადოს და გამოსცეს სახმარებლოთ 3,000,000 შაეი ფული იმ რიგათ, რა რიგათაც 1867 წ. 21 მარტს შამალესად იყონება დართული. ამას გარდა ამ ნაირათეე უნდა დაამზადოს ფინანსის მინისტრმა და მესამედ გამოსცეს სახმარებლოთ კიდევ 6,000,000 ვერცხლის ფული 48 პრობისა. ღამზადებისა

სადგომია, აჯერებს ექსელბანტებიანი...

ამ ქამად მოლგაში დადიან სამი კამპანის გემები; ამ კამპანებს ეწოდება „სამოლეტი“, „სამეკასი და მერკური“ და „მოლგის საზოგადოება“. ქველაზე უფრო შეძლებულია „სამოლეტის“ კამპანია. სამოლეტის საზოგადოებას ჰყავს ორმოცდაათი ცეცხლის გემი. მოწყობილობით და სიგანით „მერკურის“ გემები სჯობიან „სამოლეტისას“; და უფრო ჩქარი მავალი „მოლგის საზოგადოების“ გემები არიან. „სამოლეტის“ კამპანია დაარსდა 1849 წელს. — ამ ცეცხლის გემის მადლობით ძალიან გაცოცხლებულია მოლგაზე ვაჭრობა. ამას იარმუკებიც ძალიან უწყობენ ხელს. მთელი მოსკოვისა და სხვა რუსეთის ქალაქების ვაჭრები ვერ ნიყნაში გროვდებიან მკარის იარმუკაზე. იქ რომ გათავდებია, მერე სამარაში იწყება, სამარაში რომ გათავდება მერე მასპინის ზღვისკენ მდებარე ქალაქებში გაიშართება; ასე რომ ვახუთიედიდგან მოკიდებული ზამთრამდის მოლგის პირებზე და იმის მახლობლათ მდებარე ქალაქებში სულ იარმუკებია გამართული და სოფლის ხალხი ძალიან მოძრაობაშია. ამ მოძრაობას ისიც ეხმარება, რომ გემით წასვლა-წამოსვლა ძალიან იაფია, მასპინის ზღვიდგან ნიყნამდის ცხრა დღეს უნდება ცეცხლის გემი; ცხრა დღეს ის გარბის სამი ათასს ვერსსა. ამისთანა ჩქარი სიარულით და იაფათ მგზავ-

თანავე, ფინანსის მინისტრმა უნდა დაეწყოს ამზე სახელმწიფო რჩევას, რომელიც საყვედნოთ გამოაცხადებს ახალი ფულების გამოსვლაზე.

მისმა იმპერატორებითს უდიდესობამ მნომებერს 1869 წ. ინება ამ სახელმწიფო რჩევის აზრის დამტკიცება და აღსრულებაში მოყვანა.

რბინსკიდან იწერებიან „ბირჟის უწყებაში“, რომ ამ უფზდის ორ სოფელში: პოპოინოში და პალკინოში უფ. შერესჩაგინი, (რომლის მეყველებთ საზოგადოებაზე ერთ დროს იყო „ლოგებაში“ მოლაპარაკება), აპირებსო ახალი მეყველებთ არტილის გაწყობას, რაც ყველ — სამზადს ქარხანას ხარჯი დასჭირდება ორ გლესს აულიათ თავის თავზე. შერესჩაგინის ანგარიშით, ეს ქარხანა ოთხი წლის განმავლობაში გამოისყიდის თავის დანახარჯსა და შემდეგ ის შეიქნება სოფლების საკუთრებათ.

იალტაში (პირიმში) არის კომიტეტი, რომელიც ურიგებს მეოჯახებებს გოგირდსა ნატირით ავთომოფი ვახუების საწამლავათ. ეს კომიტეტი აცხადებს ახლა, რომ პირიმში წელს ძალიან მოხდენია ვახუების ძირში გოგირდის მოყრა; ასე რომ, ვინც იხმაოა ეს საშუალება, ყველას მომატებული და უკეთესი ღირნოც მოსვლია. შენიშნულია კიდევ, რომ გოგირდი იმას გარდა, რომ ნაცრისაგან ათავისუფლებს ყურძენს, ვახის ზრდასაც ეხმარება.

უფ. ასიციანი ამტკიცებს გვ. „Современный Летописи“-ში, რომ ახალი რეფორმები სასულიერო აკადემიებში ვერ წასწევს იმათ წინაო და ვერ გააუმჯობესებს იმათ მდგომარეობასაო, ხარჯი კი ძალიან დიდი სჭირდებათო; აი რას ამბობს ის, სხვათა შორის, ამ საგანზე:

„ახალი შტატით ყველა ოთხს აკადემიებში 460 ყმაწილი იქნება ეკლესიის ხარჯით; ისინი დაუჯდება ეკლესიას წელიწადში 420,100 მანეთად; ასე რომ თითო სტუდენტზე გასავალი 1000 — მდი შეადგენს და ოთხი წლის განმავლობაში ერთი სტუდენტის გამოზდა 4000 მანეთად დაჯდება. პროფესორების და სხვა მოსამსახურე პირების რიცხვი ამ ოთხ აკადემიებში — 116 არის; ასე რომ ყოველ ოთხს სტუდენტს ერგება ერთი მოსამსახურე პირი, რომელსაც წელიწადში

რომას, რასაკვირველია, მეტად უნდა გაეძლიერებინა მიმოსვლა რუსეთის ხალხსა და აზიის ხალხებს შუა; მართლაც მოლგის კიდებზე ხშირათ შეხედებიან სპარსელს, ჩინელს, თათარს და ოსმალს. იმათი ვაჭრობა მთელ მოლგის სიგძეზე გამბულია ქარავანსავით; პურით ვაჭრობა მაინც მეტად გაძლიერებულია, მდიდარი სამხრეთის გუბერნიები ვახუნიან თავის პურს მოლგის ნავსადგურებზე და არჩენენ არამც თუ მთელს ჩრდილოეთის რუსეთს, არამედ საზღვარ გარეთაც ბევრი გააქვთ.

17 სექტემბერს. ცარიცინს მივედით. ეს ძალიან მდიდარი პურის ნავსადგურია. აქ გემიდგან გადმოვხდი, რადგან მინდოდა ღონით მიესულიყვე როსტრამდის და აქედგან ობილისამდის დილიქნით ვაპირებდი წამოსვლას. ცარიცინიდან ძალაჩამდის სამოცდაათი ვერსია, რომელიც რკინის გზით უნდა გამეწლო. ძალაჩი ღონის მდინარის პირზეა. ამ ალავას მოლგა და ღონი ძალიან დაუახლოვდებიან ერთმანეთს, მაგრამ, თითქოს დატაკებისა შეშინებიათო, ისეე საჩქაროთ დაშორდებიან ერთმანეთს და ერთი მასპინის ზღვას ერთის და მეორე კი აზოვის ზღვაში ჩადის. მკითხველს კარგათ ეცოდინება, რომ აზოვის ზღვა შაეი ზღვის უბეა.

ბ. წერეთელი.
(ზაგარელება შემდეგში).

500 და 3000 მანეთში ეძლევა ჯამაგირი და ამასთან სახელმწიფო სადგომიც. სასულიერო აკადემიის პროფესორს ეძლევა—3000 მან. და დოცენტს—1,200 მან.—ამისთანა ხარჯი ადვილად მოსაზრებელი არ არის, განსაკუთრებით საეკლესიო უწყებისთვის, რომელიც არა იშვიათად სიჩვიის შეძლების ნაკლებობაზე. ამდენი ხარჯი კიდევ არაფერი, მაგრამ არა მგონია, რომ საზოგადოთ ამ ცვლილებებში მადგენი კეთილი ნაყოფი მოუტანოს ჩვენ აკადემიებს, ან ბევრით წინ წასწიოს ისინი. აკადემიის (მოსკოვის) სასულიერო აკადემიაში, როგორც გავიგე, რეფორმა დაეტყო მხოლოდ პროფესორებს, რომელთაც ახლა თითქმის ოთხჯერ მოამეტებული ჯამაგირი ეძლევათ, ვიდრე წინათ; თვითონ სწავლა კი სრულიად არ წაწეულა წინ და ვერც წაწევა, სანამ აკადემიები ანაირ განკალკეებულ და შეხუთულ მდგომარეობაში იქნებიან. ჩამდენს შეიძენდა აკადემიის განათლება და რამდენი უბრალო ხარჯი შეინახებოდა, აკადემიები რომ შეეერთებინათ უნივერსიტეტებთან და ამ უკანასკნელში ცალკე ფაკულტეტი გაეხსნათ—**“ფეთის მეტყველობისა”**.

მართებლობის უწყებაში სწერენ, რომ ამ წლის აგვისტოდან რამდენიმე კაცი მომკვდარაო ქ. ძივეში ხოლერითა. პირველად ხოლერით გამხდარა ძივეში ავთ ერთი იქაური ქარხანის მუშა და ერთს დღეში მომკვდარა, მერე ეს ავთმყოფობა გადადებია იმის ახნაგებსაც და ბევრ სხვებსაც, სულ ოქტომბრამდე ძივეში ასიოდ კაცი მომკვდარა ხოლერით. ახლა კი, იწერებიან, რომ ამ ავთმყოფობამ იკლოო. იქაური ექიმების გამოკვლევით, ხოლერის მიზეზი იყო—უზომოთ ხილის ქაჩა, გადაუღებელი პიფოს სმა და უზომოთ საკმლის ხმარება მუცელის დროს.—

მაზეთში „Домашний Врач“ სწერენ; ახალად გამოცხადებული სტატისტიკური ცნობებიდან სჩანს, რომ შინაღლიაში, რომელშიაც სცხოვრობს 1,766,255 სული კაცი, ამ ორ წელიწადს მომკვდარა მარტო შიმშილისაგან და საოფლესაგან 300,000 კაცი.— შარშანწინ ფინლანდიელები იქამდე მიიყვანა შიმშილი, რომ ხის ნახერხსა და ხაესს ამხადებდნენ ცოტადენ ფეილში და იმას სკამდენ. რასაკვირველია; რომ ამ ნაირი საკმელი ხეის არ დააყრიდა იმათ; აქედან გაჩნდა შინაღლიაში სხვა და სხვა ავთმყოფობა, რომელშიც გაწყვიტა იმდენი ხალხი. ამ დაჭირების დროს იმათ კარგათ უწყობდნენ ხელს რუსეთიდან, სიდანაც კერძო პირები და მმართველობა აძლევდა ხოლმე დიდ შემწეობას. მართი კეთილისმყოფელი რუსის ქალი აცხადებდა იმ დროს გაზეთებში, რომ „უმორჩილესად ეთხოვე ყველას, ვისაც პურის ნაჭრები მოარჩება სტოლზედა, მე გამომიგზავნონო; მე მსურს შეგვირიბო ისინო და შინაღლიაში გავგზავნოო.“

18 ოქტომბერს იყო ძივეში პირველი სხდომა იქაური ბუნების გამოამეცხებელის საზოგადოებისა; თავმჯდომარეთ გამოარჩიეს პროფესორი ბორსჩოვი. საზოგადოებას ყოველ წლიე 2,500 მან. შემწეობა ეძლევა მმართველობისაგან.

შანანის კორრესპონდენტი „პეტერბურლის უწყებებისა“ იწერება ამ გაზეთში ერთს საქმეზე, რომელიც წარმოებდა იქაურ მომრიგებელ მოსამართლესთან და რომელიც შესდგა თეატრში არგულობის მოხდენაზე. ამ არგულობის მოხდენას შანანის პოლიცია აბრალებდა იქაური უნივერსიტეტის სტუდენტებს; აქტი სწერია, რომ სტუდენტები წარმოდგენის დროს უზომოთ ყვიროდნენ და ფეხებს აბრაუნებდნენო, ისე რომ სცენაზე სულ არაფერი არ ისმოდაო. ამ საქმის განხილვის დროს მომრი-

გებელ მოსამართლის კამერაში თითქმის მთელი შანანის საზოგადოება ყოფილიყო შეკრებილი. სტუდენტები თხოულობდნენ, რომ ჩვენს მოწმესაც ჰქონებოთ, მაგრამ პოლიციამეტერის თანაშემწემ, რომელიც გამამტყუნებელათ იყო, სთხოვა მოსამართლეს, რომ უარი უთხარით ამასო, „რადგან მაგათი მოწმეები სტუდენტებიე არიანო და ყველა სტუდენტები „ერთს ოჯახს შეადგენენო“ მოსამართლემ მართლდაც არა ჰქონდა სტუდენტების მოწმებს და ბრალდებულებს ოთხი დღით პოლიციაში დაჭერა გადაუწყვიტა.—

პოლიტიკა.

ზრანთია.

პარიჟი, 14 (26) ნოემბერს. დღეს ნაპოლონ იმპერატორმა მანონდებელს ქრებაში წარმოასტეა შემდეგი სიტყვა: „შელონ სენატორნო, უფალნო დეპუტატნო! შრანთიაში ადელი არ არის კანონიერი და მშვიდობიანი თავისუფლების დადგენა. რამდენისავე თვის განმავლობაში თითქოს ენებანი ეშუქრებოდნენ საზოგადოებას ყოველის დანგრევასა, საზოგადო ყრილობანი და სტამბა თავისუფლებას მეტის-მეტი სიცხარით ძალიან უშლიდნენ. შოველი კაცი ასე ფიქრობდა, სანამდის უნდა ითმინოს მთავრობამაო? მაგრამ საზოგადოების გონიერებამ თვითონ დაუწყაო და შლა ამ უკანონო მეტის-მეტობასა. მოწინააღმდეგეთა თავისი უღონობითე დაამტკიცეს—თუ რამდენათ მაგარი საფუძველი აქვს ერის ამორჩევით დამკვიდრებულს დაწყობილებას. მაგრამ საზოგადოთ მაინც არაიენ არ იცის რა მოხდება, ყოველი აშფოთებულთა ამითი და ამის გამო თუ არის, ახლა საჭირო გულახდილობა. რა რიგია გადახვევით ლაპარაკი. პირ-და-პირ უნდა წარმოითქვას რას ითხოვს ჩვენი ქვეყანა და ან რაში მდგომარეობს იმისი ნება.“

შრანციას ჰსურს თავისუფლება, მაგრამ თავისუფლება წესიერებასთან გაუქრელი. წესიერებაში მე ვაგებ პასუხს, მაგრამ თქვენ თავისუფლების დაცვაში უნდა მომხმაროთ.

ამ განზრახვის ასასრულებლათ ნურც მეტის-მეტად მოუჭერთ ხელს და სულ თავის ნებაზედაც ნუ მიუშვებთ მეტის-მეტის მოლაპარაკეთა და მომქმედთა. რომელთაც არა ვითარი ცვლილება არა ჰსურთ და რომელთაც უნდათ ყველაფერი ძირიანათ გადაბრუნონ, იმათ შუა ადგილის დაკავება ძალიან სასახელია.

როცა ამ წლის სექტემბერს მე გამოვეცი სენატის დაწესება, რომელიც არის შედეგი წინათ მოხდენილი ცვლილებისა და იმა განცხადებისა, რომელიც ჩემის სახელით გამოსცა სახელმწიფო მინისტრმა 28 ივნისს, მე ვფიქრობდი დამეწყაო ახალი ქრონიკონი შერიგებისა და წარმატებისა.

თქვენ მხმარებოდით ამ საქმეში, მაგრამ ძველ გზას არ უმტყუნეთ, გინდოდათ ხელი შეგეკრათ მთავრობისათვის და შეგეყრათ იმპერია. ამჟამად რაც დაიწყეთ, ის საქმეში უნდა დავამკვიდროთ, სჯულში მოვიხსენოთ და ჩვეულებათ ვაქციოთ. რა საშუალების მოხმარებასაც მინისტრები წარმოგიდგენენ, ყოველი თან-და-თან თავისუფლების დამამკვიდრებელი იქნება; თუ ამ საშუალებათა ხმარების კმაყოფილი გახდებით, მოხდება შემდეგი ცვლილება: მერე (ქალაქის გამგენი) ამორჩევიათ საქალაქო რჩევებში, ზოგიერთ შემთხვევებს გარდა, რომელნიც კანონში იქნებიან მოხსენებულნი: ლიონში და პარიჟის გარეთ უბნებში ამ რჩევის წევრებს ამორჩევს თემობა. თვითონ პარიჟში სჯულის მდებელი წოდება ამორჩევს საქალაქო რჩევის წევრებს. ზემოხსენებულს წოდების ხელშია სატახტო ქალა-

ქის შემოსავალ-გასავლის შედგენა და იმის დამტკიცება.

შმთავრეს რჩევებს მიეცემათ ახალი უფლება. ძალონებსაც (დამორჩილებულ ქვეყნებს) თანასწორი ცვლილებანი მიეცემათ და სხე.—

მაგრამ ცვლილების მოხდენა, სახელმწიფო ხარჯის შემოკლება და კარგი გამოგება მართო არ არის საკმაო. საჭიროა მმართველობამ და საერო მთავრობამ ერთად დაუმტკიცონ ქვეყანას, რომ რამდენათ უფრო დიდი თავისუფლება შემოდის მხარეში, იმდენათ უფრო მხნეთ დაეცავთ საზოგადო კეთილ-მდგომარეობას და ძალდატანებით წამდებელს ხელს არ მიუშვებთ კონსტიტუციის დასარღვეველათ.

შემდეგ ნაპოლონის სიტყვა იხსენებს, რომ გარეშე სახელმწიფოებთან მეგობრობა და სიყვარული გვაქეო.

რაც უნდა ბევრი სამდურავი გეჭონდეს ჩვენს საუკუნესთან, მაინც ბევრი ასეთი ამბები მოხდა, რომ სწორეთ სასახელია. ახალმა ქვეყანამ (ამერიკამ) განათავისუფლა მონები, რუსეთმა გლეხები, ანგლია სამართლიანათ ექცევა ირლანდიელებს. საშუალო—ქვეყნის ზღვის პირებს ეგონებ უბრუნდება ძველი დიდებული დროება.—

მეცნიერების წარმატება ახლოვებს სხვა და სხვა ერს ერთმანეთთან მაშინ, როცა რკინის გზით ატლანტიდის ოკეანე ერთდება აღმოსავლეთის ოკეანესთან საშუალო—ქვეყნის ზღვა უკვე შეერთდა წითელ ზღვასთან სუფხის არხით.

შელონო, თქვენ ახლა იწყებთ უმთავრესს სხდომას, რომელიც სენატის დაწესებულეობით რამდენსავე ხანს შეჩერდა.—

ამიერიოგან თვითონ ჩვენი ქვეყანა ჰხდება მონაწილე თავის საქმის გამოგებაში და ეს იმპერიას კიდევ ახალს ძალას შესძენს. ამიერიოდან თქვენს ქრებაზე უფრო დიდი მოვალეობა სძევს და პასუხის გებაცა უფრო დიდგაქვს. ისარგებლეთ ამითი ერის ასამაღლებლათ და იმის საკეთილ-დღეოთ.—

პარიჟი, 10 (22) ნოემბერს. პირველს ამორჩეველების უბანში მანონდებელი პორპუსის დეპუტატათ ამორჩიეს რო ფორო, რომელმანც—17,051 ხმა მიიღო, თითქმის 1800 ხმით მეტი, ვიდრე ძარნო მ; მესამე უბანში ძრემიემ მიიღო—20,489 ხმა; მეოთხე უბანში ჯერ კიდევ არ გათავებულა დეპუტატის ამორჩევა; მერევეში მმანულილ ძრგო მ მიიღო 22,120 ხმა.—

სცხო ქვეყნების გაზეთებში სწერენ პარიჟის კორრესპონდენტები, რომ ეს ქალაქი ამ ჟამად, ამორჩევების გამო, ძალიან აღელვებულიაო; მაგრამ ეს სრულიათ მართალი არ არის: მართლაა მხოლოდ ის, რომ ზოგიერთს ამორჩევლების კრებებში ძლიან ხმაურობა და ყვირილი ჰხდება და პარიჟის ქუჩებზე რომფორს დემონსტრაციებს უკეთებენ, მაგრამ ამითი ქალაქს არ ეცვლება თავის ჩვეულებრივი სახე: შრანციის სატახტო ქალაქი ძალიან მშვიდობიანათ და მყუდროთ ატარებს ამ ჟამათ თავის სიკოცხლეს და ეს ამბავი მაგდენათ არ მოსწონს მმართველობას; ამას ძალიან იამება—ოპპოზიციამ რომ არეულობა მოახდინოს პარიჟში; არეულობით ყველაზე უფრო თვითონ მმართველობა ისარგებლებდა: ის იმ წამსვე დაატუსაღებდა ოპპოზიციის წევრებს, თავის მოწინააღმდეგებს და დაარწმუნებდა ბურჟუაზიას, რომ რეველუცია კარზე გეადგაო და იმის ასაშორებლათ სასტიკი ზომები უნდა მიეღოთო; ბურჟუაზიას კი (ვაჭრებს) ძალიან ეშინიანთ რეველუციელების, მაგრამ ახლა უდარდელათ ატარებენ დროს, რადგან დარწმუნებული არიან, რომ მმართველობა საკმაოდ ძლიერია და ადვილათ შეუძლია ყოველთვის არეულობის დაწყარება; ისინი სრულიად არ ინადლებენ დემოკრატების სისხლის დაღვრას, თუ საჭიროდ

დაინახეს ამას მმართველობა. არ ეს გეგონება, რომ ბურჟუას იმის მხარე შეჭრავს, შეადგენს ახლანდელი იმპერიის უმთავრესს ძალას და იმედსა.—

„ლიტერატურ გაზეთში“ სწერენ, რომ ხმები—ეთომ სამინისტრო შეიცვლებაო, სრულიად უსაფუძვლონი არიანო.—

რომფორმა გამოაცხადა, რომ მოვსკოო ყურნ.—Lanterne-ის გამოცემა; მის მაგიერათ ის გამოსცემს პარიჟში ახალს გაზეთს, სახელიად „La Marseillaise“.—

17 ნოემბერს. მრთს კერძო კრებაზე გუშინ მამბონმა წარადგინა ლუი-ბლანის და ბარბესის წერილები, რომლებშიც ისინი უტახდებენ გამომრჩეველებს, რომ ვერ მოვლენ ლონდონიდან; პირველი (ლუი-ბლანი) იმითამ რომ არეულობა არ მოახდინოს და მეორე კი ავთმყოფობისა გამო.—

იტალია.

მაზ. „Corriere italiano“ ამბობს, რომ მიქტორ-მმანულიმა ახალ ამორჩეულ პალატის პრეზიდენტ-ლანცას მიანდო ახალი სამინისტროს შედგენა; მაგრამ ლანცას ამ წინადადებაზე გადაწყვეტილი პასუხი ჯერაც არ უთქვამს და სანამ ის არ დათანხმდება, მანამ კოროლი მენაბრეას სამინისტროს არ დაითხოვს.—

პოლიტიკური დამნაშავეების პროცესის ნეაპოლში გათავდა მით, რომ ახალმა ამინსტიამ ყველას აპატია დანაშაული.—

შლორენცია, 11 (23) ნოემბერს. დღევანდელს დეპუტატების პალატის სხდომაში ახალმა პრეზიდენტმა ლანცამ წარმოასტეა სიტყვა, რომელშიც ყველა პარტიებს სთხოვა, რომ მორიგებულიყვნენ და უფრო მამატებული თანხმობა ჩამოედოთ ერთმანეთში. დეპუტატებს შორის იყო დღეს ლაპარაკი, რომ ლანცას ახალი სამინისტროს შედგენა უნდაო და კიდევაც მალე ასრულებს ამასაო.—

მაზ. „Na tione“—სიტყვით, იტალიის ზოგიერთს ქალაქებში 8 დეკემბერს, ე. ი. იმ დღეს, როცა რომში მსოფლიო ქრება გაიხსნება, იმის წინააღმდეგი დემონსტრაციები იქნებოა.

ისპანია.

მადრიდი, 10 (22) ნოემბერს. აქ ყველას ეგონა, რომ რესპუბლიკელი დეპუტატები მივიდოდნენ დღევანდელს მარტესების სხდომაში და მონაწილეობას მიიღებდნენ სახელმწიფო საქმეების განხილვაში; მაგრამ, როგორც ისმის, ამ პარტიის წევრები მხოლოდ მაშინ მივლენ პალატაში, როცა კონსტიტუციას ისევე მიეცემა თავისი სრული ძალა. მაშინ მასტელარი მიჰმართავს თავის თანამოაზრებს და მოიწვევს იმათ, რომ აღმოაჩინონ ზომიერება, როგორც სტამბაში, ისე პოლიტიკურ კრებაშიაც.—

11 (23) ნოემბერს. გუშინ საღამოს შეიკრიბნენ აქ უმეტესი ნაწილი პარლამენტის წევრებისა: იმათ რიცხვში პრიმიც იყო. როცა ისპანიის ტახტზე ჩამოაყრდა ლაპარაკი თავმჯდომარე—მინისტრმა (პრიმმა) სთქვა, რომ ეს საქმე ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილიაო, კაროლი მიქტორ-მმანული თანახმა არის ბენუის გერცოგის კანდიდატობაზე, მაგრამ ჩვენმა ელჩმა, კაროლის ავთმყოფობისაგამო, დაწერილებით ვერ მოვლამარაქა ჯერ ამ საგანზეო.

მადრიდი, 8 (20) ნოემბერს. ანგლიური გაზეთი „Times“ ამბობს, რომ ბენუის გერცოგი არც ახლა და შემდეგში არ მიიღებს ისპანიის გერცოგისაო.

10 (22) ნოემბერს. გუშინდელს მარტესების სხდომაში თავმჯდომარე—მინისტრმა გამოაცხადა, რომ იტალიის კაროლი თანახმა არისო, რომ ისპანიის ტახტის კანდიდატათ ბენუის გერცოგი დანიშნონო.— ახლანდელ სამინისტროს ამ კანდიდატის შეყვანა უნდა ისპანიის ტახტზე.

10 (20) ნოემბერი ს. ზოგიერთს პოლიტიკურ კრებებში მოლაპარაკება არის ამჟამად იმის თაობაზე, რომ დასვენების ტახტზე ბენიონი ბურბონელი, რომელიც იზაბელას ძმისწულაობა მოხდებდა და რომელიც ეს მეფე არ წყალობდა თავის მეფობის დროს. — „Correspondencia“ ამბობს, რომ ის ხმები — ვითომ იზაბელასა და მარშალი მსპარტეროს შორის რაღაც მოლაპარაკება იყოს, სრულიად უსაფუძვლონი არიან; ეს გაზეთი ამბობს, რომ მსპარტეროს თავისი გამოცემის სიკეთე უფრო ძვირად მიიჩნიათ, ვიდრე ყოფილი მეფისა და ის ძორტესების გადაწყვეტილებასაც ჯეროვან პატივსაცემს.

პრუსია და გერმანია.

ბერლინი, 8 (20) ნოემბერი ს. გუშინ რეპუტაციის პალატაში იყო აქ მოლაპარაკება სახალხო მასწავლებლების ქარიზმისთვის და ობლებისთვის შესაწავნელ კასების დაწესებაზე. დეპუტატმა ტეხოვმა თქვა, სხვათა შორის, რომ კასების დაწესება შარშან გადაწყვიტეს ორივე პალატებში და ახლა ამ საქმის სისრულეში მოყვანა მმართველობაზე არის დამოკიდებული, რომელმაც 60,000 ტალერი უნდა მისცეს კასების დასაფუძნებლათ. მე ვერ შემძლია წარმოვიდგინო, თქვა შემდეგ ტეხოვმა, რომ პრუსიის ფინანსების მდგომარეობა არ აძლევდეს მმართველობას ასე მცირედი შემწეობის ნებას. იუდიკულათი სახელმწიფო, რასაკვირველია, არ არის ვალდებული მისცეს შემწეობა ამ საქმეს, მაგრამ, თუ მივიღებთ ყურადღებაში სახალხო მასწავლებლების საწყალ მდგომარეობას და კიდევ უფრო საწყალ მათი ქვრივების და ობლების მდგომარეობას, მაშინ არ შეგვიძლია არა ვთქვათ, რომ სახელმწიფო ზნეობითად ვალდებულია ცოტაოდენი მანეტ შეუმსუბუქოს იმათ გაჭირვებული ცხოვრება.

ტელეგრაფები

(თბილისში 27 ნოემბერს მიღებული).

ს. კაბატაძის რელი. ხელმწიფე იმპერატორმა წ. შიორგის ორდენის დეკლარაციულზე თავის სიტყვაში, რომელიც მიმართა ამ ორდენის კავალერებს, სხვათა შორის, სთქვა: „ღმერთმა ჰქნას, რომ ჩვენ შემდეგში არ დავტვირთავდეთ ომის გამართვა; მაგრამ თუ შეგვეთხება ეს, მაშინ, მე დარწმუნებული ვარ, ჯარის და ჭლოლი ძველებურად მოახერხებენ ჩვენი იარაღის დიდების და რუსის სახელის დიდების დაცვას.“

ბატარო (ბ.ლიციაში) 12 (24) ნოემბერი ს. მანდამილები მოსამზღვრე მთებში წაიდნენ; ამის გამო ომიანობა დროით შეჩერდა.

სხვა და სხვა ამბავი.

მთელს მერობაში მარტო ერთს სატახტო ქალაქში არ არის უნივერსიტეტი; ეს შეეცინის სატახტო ქალაქში — სტოკოლმში. მაგრამ ამჟამად აქცე შეუდგენ საკუთარი უნივერსიტეტის დაფუძნებას. როგორც იწერებინან, ამ საქმით თვითონ სტოკოლმის საზოგადოებას მოუყვანია ხელი და კერძო უნივერსიტეტი უნდა დააფუძნონ. სტოკოლმში შემდგარა კამიტეტი, რომელიც თაობს ამ საქმეში და ფულს აგროვებს. ქალაქმა უნდა აძლიოს ყოველ წელს 25,000 ტალერი, ზოგი სტუდენტებისაგან შემოვა და ზოგი კერძო პირებისაგან შეწყენის იმედი აქვთ; ერთს იქაურ ვაჭარს შეუწირავს 50,000 ტალერი. — მომავალი უნივერსიტეტის პროგრამაში განსაკუთრებით ყურადღება მიუქცევიან ქალღმერთის, რომელთაც მიეცემა აგრე-

თე სწავლის მიღების საშუალება. შეეცინა ქალებს დაუბრკოლებლად იღებენ საზოგადო სამსახურში; ძალიან ბევრი იმთავნი მასწავლებლებათ არიან სახალხო სკოლებში, ზოგი ტელეგრაფის ნაწილში მსახურებს, ზოგი ფიქტაში და სხვ. —

შრანკოვულ „სამეურნეო ბაზეთში“ ერთი მეოჯახე იწერება, რომ ფრინველების გადამწევის მიზნით კატები არიან; იმის ანგარიშით მარტო შრანკის ქალაქებში და სოფლებში 30 მილიონი კატა არის და ყოველი კატა ურიცხვ წერილ ფრინველებს სჭამს, განსაკუთრებით ბლარტუს. ეს მეოჯახე ამბობს, რომ, თუ გინდათ კატას მოაშლეთ ერთ ფრინველებს დაბოცვა, უნდა მოსჭრათ იმას ორივე ყურები ძირამდინო. უყურო კატები, ამ მეოჯახის სიტყვით, თავის დღეში ვეღარ დაიწყებენ ფრინველებზე ნადირობას ვერც მინდორში და ვერც ტყეში და მოკიდებენ ხელს ისე თავის საქმეს, თავებისა და ვირთავეების დაქურასა.

რუსული გაზეთი „Неделя“, რომელიც ექვსი თვით იყო შეჩერებული, გამოვიდა ხელახლათ, რადგან შეჩერების ვადა გაუთავდა. „პეტერბურლის უწყებაში“ ამბობენ, რომ ამ გაზეთის ეს ახალი მე-20-ე ძალიან საინტერესოთ არის შედგენილი. —

შემდეგი შემთხვევა გვიჩვენებს რამდენი მოწყვეტის კაცს სიღარიბე და შიმშილი: 11 ნოემბერს პეტერბურლში დილით ადრე მოდიოდა თურმე ნიკოლაევის ხიდზე ორი ღარიბი ჩაცმული კაცი. უცრათ იმათ შედგეს ფეხი ხიდის მოაჯარზე და გადავარდნ ნევაში; ცოტა ხნის შემდეგ ორივე ნახეს დაღრმობილები. ბაზ. „Весть“ ამბობს, რომ ისინი იყვნენ ორი წერილი ჩინოვნიკები, რომელთაც კისერზე აწვთ დიდი ოჯახები და რადგან სიძვირის გამო ვერ არჩენდნენ იმათ, თავის მოკვლა არჩიესო. —

მრთს პეტერბურლის კლუბში გრაფს ჩ. — და ბარონ ი. — ს. მოუვიდათ ხმა მალა ლაპარაკი, რომლის შედეგი იყო დუელი ამ ორ პირს შუა. გრაფი ჩ. თავის ნაცნობებს ელაპარაკებოდა თურმე მსტუვის ნემეცებზე; ბარონ ი. — ს. ეს თავისუფალი ლაპარაკი არ მოსწონებოდა და ეთხოვნა მოლაპარაკების, რომ გაჩუმებულიყო. ამ ბაასში სხვებიც ათიოდ იქ მყოფნი ერივნენ; იმათ უთხრეს ბარ. ი. — ს., რომ ისინი არ სთელიან საქირთო ერთი კაცისთვის ბაასი გაწყვიტონ. „მაშ მე სისხლით ვიყდი თქვენ გაჩუმებასა“, ეს სიტყვები ეთქვას ვითომ ბარ. ი. — ს. მეორე დღეს მოხდა დუელი; პირველათ ესროლა გრ. ჩ. — ს. და დაეჭრა ბარონი ი., მაგრამ ისე მსუბუქათ, რომ მესამე დღეს ის, როგორც ამბობენ, კარზე გამოდოდა. —

გ უ ზ ე ბ ი.

„ბუნი სუველა ბუნილი, შუტკართან ყველა ტუნილი“ (მართული ანდაზა).
მართელ ბუზებსა ჰქონდათ ყრილობა:
„ჩვენ ვიზრომთო“, შესთქვეს პირობა;
ბუნდათ აფრინდენ, შექნეს ბუნილი...
(ბრ გეგონოსთ კი თქვენ ეს ტუნილი)....
შუტკარებს მიბაძეს, მიმართეს მინდორს,
ცაცხვებს ეძებენ, მოედნენ შთაგორს;
სუნველს ყვავილებს, ბუნებით ტურფათ
შუტკარენ უცებ, დაახდნენ ჯგუფათ,
მარამ ამაღ შესქვერე მხესა,
მერ ასრულებენ ფუტკრისა წესსა
და ყვავილები სულ წაპილწესა!

აქ ისხდნენ ერთს ხანს, ცერას გამოჩინენ,
აფრინდენ ისევ და იბუფელსა;
„ჩვენზედ მოსულა სწორეთ ღირთის წყრომა!
მინ გაიგონა ბუზების შრომა?
რა გინდა აქა? მიემართოთ სკასა“...
რაკი ესა სთქვეს შეუდგენ გზასა,
შუტკარენ ფუტკრებს იმავე ღამეს
და ზამთრის სარჩო სულ შეუტყამეს!...

ზოგიერთი უმწიფელები ჩემოზენ ფუტკრობასა,
(ბასს ტუნილს არ ვამბობ, ნუ შემწამებთ მტრობასა)
თავში ბუზები უფრინენ, არ იშლიან ბუნილს,
სხვის ნაამაფებს სჭამენ, შემდეგ შექმნენ ღმუილს!...
მხ, რა ძნელი საქმეა, რომ არ უფეროს შრომა!
ამ თქმსაც თუ მიწყენენ, — მკონდეს მათი წყრომა!...
თ. რაფიელ მარსთაი.

საპარო ცნობები.

შუთისის ბუზების საპაროთელში დეკემბრის 8-ს დანიშნული უკანასკნელი ვაჭრობა შუთის პრაივანტის მალაზიის შეკეთების თაობაზე. შასი ინტენერის სმებით დანიშნულია 439 მან. 85 კაპ. ამ იჯარის ამღებმა გირათი დანიშნული ფასის მეზუთედი ნაწილი უნდა წარადგინოს. დაწერილებითი პირობების ნახე მსურველს შეუძლია ზემოსხეხულს საპაროთელში ყოველ დღე კვირა და უქმე დღებს გარდა. —

ნოემბრის 28-ს პეტერბურლის ბირჟაზე პირველი შინაგანი სესხის ბილეთები გადიოდა — — — — — 155 მან. 75 კაპ. მეორე სესხისა — — — — — 150 — 25 — ხუთ სარგებლიანი (5%) სახელმწიფო ბანკის ბილეთები — — — — — 89 მან. 25 კაპ. 5% გამოყიდვის ბილეთები — 84 მან. 28 კაპ. ნახევარი იმპერიული ლირს — 6 და 65 კაპ. პური — ჩეტყერტი — — — — — 9 მან. 75 კაპ. ლონდონის — 29 1/2 პენსში აძლევენ — 1 მან. პარიჟის — — 310 სანტიში — — 1 მან. მოსკოვის ბირჟაზე 8 ნოემბერს. ნუხის აბრეშუმი ფუთი — 212 მან. 50 კაპ. დერბენდის ენდრო ღირდა ფუთი — 12 მან. ბუხარის ბამბა — — — — — 12 მან. 15 კაპ. ამერიკის ბამბა — — — — — 17 მან. და 65 კაპ.

ფორმა

თბილისიდან ფორმა მიდის: ო რ შ ა ბ ა — თ ო ბ ი თ მ რ ე ვ ა ნ შ ი და ჯ უ ლ ფ ის ა კ ე ნ. — ს ა მ — შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ბ ა ქ ო ს გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი და შე — მ ა ხ ა შ ი — მ ს უ ბ უ ქ ი ფ ო რ მ ა. — მ თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ რ უ ს ე თ შ ი, შუთაისში — შუთამდინ, მრე — ვ ა ნ შ ი, ა ლ ე ქ ა ნ დ რ ო პ ო ლ შ ი და ნ ო ვ ო ბ ა ი ა ზ ე თ შ ი. — ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი. — პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ — შუთაისში, ქახეთში და მრევეანში. შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი და შე მ ა ხ ა შ ი. — ქ ე რ ო ბ ი თ რ უ ს ე თ შ ი და შუთაისში.

ტელეგრაფი.

დებუის გასაგზავნი ფასი თბილისიდან: შუთაისში, ბაქოს, მლადიკავკასს, მრბის, შოთს, მრევეანს, ახალციხეს, ნუხას, შემახიას — 1 მან. ასტრახანს, მერში, მოსკოვს და მდესას — 2 მან. — გორს, სი — ლნალს — 50 კაპ. — პეტერბურლს, შენევეს, სტამ — ბოლს — 3 მან. — პარიჟს, ლონს, მარსელს — 3 მან. და 38 კაპ.

კარმოგობითი განცხადება.

ზანცენებულმან მეფის რძალმა მღენე მთარის ასულმან ანდერძის წერილით უანდერძა მაინოსრო თამთარძის მეშვიდრეთა: საშოცდა ათი თუმანი თმრთი ფული. მაინოსრო თეთრადქს ჰყვანდა ცოლი მლისაბედ, ვაჟი შეილი მიხაილ, მიხაილი მსახურებდა ტამოქნა — ში, ტამოქნიდამ გამოვიდა, მრევეანს წავიდა და იქ მოკვდა და ღარჩა ერთი ქალი და ცოლი.

შუ. დ. ჩუბინოვი, რადგანაც არს ჩემთვის ბული პირი მეფის რძლისაგან ფულის დარიგებაში, სთხოვს, მაინოსრო თმთარძის მეშვიდრეთა, წარმოადგინონ საბუთის წერილი, რომ ისინი სწორეთ მეშვიდრეთი არიან თეთრადქსა და მიიღებენ საშოცდა ათ თუმანს თეთრს. — ადრესი უფ. ჩუბინოვისა იპოვება თბილისში, ქართულის გაზეოის „დროების“ რედაქციაში.

გილიოგრაფიული განცხადება.

ხელის მოწერა 1870 წელსა.
„კაპკაზი“
პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი.
შეიცავს შემდეგ განყოფილებებს:

I მუსიკალური ნაწილი. II არა ოფიციალური ნაწილი: შესანიშნავი თბილისის ამბები, ცნობები საზოგადო ცხოვრებაზე, შესანიშნავი პროცესები, რომელნიც ნაწარმოები იქნებიან აქაურს სასამართლოებში, სხვა და სხვა შენიშვნები და სხ. III პორტრეტები და სხვა მათეკასის სხვა და სხვა ადგილებიდან, აგრეთვე იმის მომხიჯნავე სპარსეთის და მსმალეთის მახრებიდან. IV ტელეგრაფები. V შინაგანი ცნობები. VI პოლიტიკური ცნობები. VII მტროგრაფიული, ეკონომიური, გეოგრაფიული და ისტორიული სტატები მათეკასზე. VIII ბიბლიოგრაფია: კრიტიკული გარჩევა იმ თხზულებების, რომელნიც მათეკასს შეეხებიან, შენიშვნები და ბიბლიოგრაფიული ცნობები. IX საეპრო ცნობები. X სხვა და სხვა ამბები: მოკლე ცნობები შესანიშნავს მოვლინებაზე მეცნიერებაში და რუსეთის და მერობის ცხოვრებაში. XI სახაზინო განცხადებები: იჯარით აღებაზე, მამულების გაყიდვაზე და სხვ. XII სერობითი განცხადებები.

გაზეთი „კაპკაზი“ მომავალ წელში გამოვა, როგორც უწინ, კვირაში სამჯერ: კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. აქაური ვაჭრების საცნობელათ ყოველ შუაში იქნება დაბეჭდილი ტელეგრაფები პარიჟის და ლონდონის ბირჟებზე კურსების მდგომარეობაზე. რედაქციაში მოგროვდა ბევრი საბეჭდო მასალა და ამის გამო იმას აქვს სახეში ხანდისხან, ერთი ფურცლის ნაცვლად, გამოსცეს ფურცელნახევარი შუა მათეკასისა.

გაზეთის ფასი: შინ მიტანით და გაგზავნით წელიწადში — 12 მან. 50 კაპ., ნახევარ წელიწადში — 6 მან. 50 კაპ., სამი თვის — 3 მან. 50 კაპ. რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მოწერალებს დროზე გამოგზავნონ ფული და კარგათ დაწერილი აღმასმები. ხელის-მოწერა შეიძლება: თბილისში, გზ. „კაპკაზის“ რედაქციაში და ბერენშტამის წიგნის მალაზიაში. მოსკოვში-წიგნის ვაჭარს პლაჩკოვთან. —

შუთაისში იცნ ბულდნარის პასიკოვის და დავით შალანთაროვის მალაზიაში ისყიდება მშვენიერი, არამატეული და სხვა და სხვა ფერი.

ჩაი

გამოჩენილი ფირმის ქალაქმაროვისა. იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა „სინოპტიკური კალენდარი“ 1870 წლისა. შედგენილი რაფ. ისარლიშვილისაგან.